

შპს „სეუ გრუპ დეველოპმენტ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება3

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია.....4
2. მომზადების საფუძველი4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა4
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები8
5. ამონაგები რეალიზაციიდან8
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები8
7. ძირითადი საშუალებები9
8. სასაქონლო მატერიალური მარაგები10
9. გაცემული სესხები10
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....10
11. გადასახადები11
12. ფული და ფულის ექვივალენტები.....11
13. მიღებული სესხები11
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები12

შპს „სეუ გრუპ დეველოპმენტ კომპანი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები რეალიზაციიდან	5	740,005	2,034,978
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(254,978)	(386,628)
საერთო მოგება		485,027	1,648,350
სხვა შემოსავალი		88,559	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	6	(4,067,134)	(3,671,083)
კომერციული ხარჯები		(65,636)	(59,529)
საოპერაციო ზარალი		(3,559,184)	(2,082,262)
ფინანსური შემოსავალი	9	83,401	-
ფინანსური ხარჯი	13	(3,783,860)	(3,234,748)
საკუროსო მოგება		(1,130,574)	273,245
ზარალი დაბეგვრამდე		(8,390,217)	(5,043,765)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(8,390,217)	(5,043,765)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 20 ოქტომბერი:

ზურაბ მექვაბიშვილი
დირექტორი

შპს „სეუ გრუპ დეველოპმენტ კომპანი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები რეალიზაციიდან	5	740,005	2,034,978
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(254,978)	(386,628)
საერთო მოგება		485,027	1,648,350
სხვა შემოსავალი		88,559	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	6	(4,067,134)	(3,671,083)
კომერციული ხარჯები		(65,636)	(59,529)
საოპერაციო ზარალი		(3,559,184)	(2,082,262)
ფინანსური შემოსავალი	9	83,401	-
ფინანსური ხარჯი	13	(3,783,860)	(3,234,748)
საკურსო მოგება		(1,130,574)	273,245
ზარალი დაბეგვრამდე		(8,390,217)	(5,043,765)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(8,390,217)	(5,043,765)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 20 ოქტომბერი:

ზურაბ მექვაბიშვილი
დირექტორი



შპს „სეუ გრუპ დეველოპმენტ კომპანი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებულ

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	1,571,916	1,716,689
ინვესტიციები		3,823,396	3,823,396
არამატერიალური აქტივები		16,046	16,046
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,411,358	5,556,131
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8	28,507,828	22,082,230
გაცემული სესხები	9	905,988	1,496
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	3,956,761	2,714,097
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	316,860	2,920,346
სულ მიმდინარე აქტივები		33,687,437	27,718,169
სულ აქტივები		39,098,795	33,274,300
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
დაუფარავი ზარალი		(19,919,407)	(11,529,190)
სულ კაპიტალი		(19,919,407)	(11,529,190)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	12	33,746,272	6,647,675
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		33,746,272	6,647,675
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული ავანსები		9,562,526	6,143,553
მოკლევადიანი სესხები		15,142,714	31,411,914
საგადასახადო ვალდებულება		246,339	199,584
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	320,352	400,764
სულ მიმდინარე ვალდებულებები		25,271,931	38,155,815
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		39,098,795	33,274,300

შპს „სეუ გრუპ დეველოპმენტ კომპანი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022	-	(6,485,425)	(6,485,425)
წლის სრული ზარალი	-	(5,043,765)	(5,043,765)
31 დეკემბერი 2023	-	(11,529,190)	(11,529,190)
წლის სრული ზარალი	-	(8,390,217)	(8,390,217)
31 დეკემბერი 2024	-	(19,919,407)	(19,919,407)

შპს „სეუ გრუპ დეველოპმენტ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „სეუ გრუპ დეველოპმენტ კომპანი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2014 წელს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405062836.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო პროექტების დაგეგმვა, აშენება და დასრულებული ბინების რეალიზაცია.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ისნის რაიონი, წინანდლის ქ., №9

კომპანიის მეწილეები: მეწილეთა სტრუქტურა წლების განმავლობაში შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ზურაბ მექვაბიშვილი	25%	25%
ლევან კალანდარიშვილი	25%	25%
გია კავთელიშვილი	25%	25%
ივანე ყანდაშვილი	25%	25%

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
31 დეკემბერი 2024	2.8068	2.9306
31 დეკემბერი 2023	2.6894	2.9753

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალი რისკის მქონე ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარცხის გამოკლებით. კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	10
სამშენებლო დანადგარები და ინვენტარი	3-10
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	3-10
სატრანსპორტო საშუალებები	10

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ვებ გვერდი	10 წელი
მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს. არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.	

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვეთება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ამონაგები რეალიზაციიდან

ამონაგები რეალიზაციიდან შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024	2023
შემოსავალი ბინების რეალიზაციიდან	740,005	2,034,978
გაყიდული საცხოვრებელი ფართების თვითღირებულება	(254,978)	(386,628)
სულ	485,027	1,648,350

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(3,169,613)	(3,009,792)
ცვეთა და ამორტიზაცია	(320,769)	(294,395)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(222,205)	(50,213)
საპენსიოს ხარჯი	(69,299)	(65,426)
პროფესიული მომსახურების ხარჯები	(43,922)	(42,488)
ბანკის საკომისიო	(40,284)	(43,363)
საწვავის ხარჯი	(26,120)	(15,458)
კომუნიკაციის ხარჯები	(7,746)	(8,941)
სხვა	(167,176)	(141,007)
სულ	(4,067,134)	(3,671,083)

შპს „სეუ გრუპ დეველოპმენტ კომპანი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი საშუალებები

	სატრანსპორტო საშუალებები	სამშენებლო დანადგარები და ინვენტარი	საოფისე ავეჯი და ინვენტარი	შენობები	სულ
31 დეკემბერი 2022	384,505	1,580,870	266,700	120,362	2,352,437
შემოსვლა	871,607	424	90,464	-	962,495
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	1,256,112	1,581,294	357,164	120,362	3,314,932
შემოსვლა	147,257	24,456	32,718	-	204,431
გასვლა	(69,633)	-	-	-	(69,633)
31 დეკემბერი 2024	1,333,736	1,605,750	389,882	120,362	3,449,730
დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი 2022	(126,803)	(1,000,376)	(182,125)	(19,372)	(1,328,676)
ცვეთის ხარჯი	(69,970)	(158,184)	(37,602)	(3,811)	(269,567)
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	(196,773)	(1,158,560)	(219,727)	(23,183)	(1,598,243)
ცვეთის ხარჯი	(122,008)	(151,442)	(43,509)	(3,811)	(320,770)
გასვლა	41,199	-	-	-	41,199
31 დეკემბერი 2024	(277,582)	(1,310,002)	(263,236)	(26,994)	(1,877,814)
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2023	1,059,339	422,734	137,437	97,179	1,716,689
31 დეკემბერი 2024	1,056,154	295,748	126,646	93,368	1,571,916

შპს „სეუ გრუპ დეველოპმენტ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
დაუმთავრებელი მშენებლობა	25,110,690	18,824,955
მზა პროდუქცია	2,683,828	2,683,828
ნედლეული და მასალები	713,310	573,447
სულ	28,507,828	22,082,230

9. გაცემული სესხები

გაცემული სესხები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

გაცემული სესხები	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	სესხის ტიპი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
დაკავშირებულ მხარეებზე	20%	დოლარი	მოთხოვნამდე	268,703	-
დაკავშირებულ მხარეებზე	20%	დოლარი	მოთხოვნამდე	179,658	-
იურიდიულ პირებზე	10%	დოლარი	მოთხოვნამდე	413,704	1,496
იურიდიულ პირებზე	8,5%	დოლარი	მოთხოვნამდე	43,923	-
სულ				905,988	1,496

მომრაობა წლების განმავლობაში შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024	2023
საწყისი ნაშთი	1,496	1,496
სესხის გაცემა	1,158,155	-
სესხის დაფარვა	(361,125)	-
საპროცენტო შემოსავლი	83,401	-
პროცენტის დაფარვა	-	-
საკურსო სხვაობების ეფექტი	24,061	-
საბოლოო ნაშთი	905,988	1,496

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები ბინების რეალიზაციიდან	1,707,478	1,265,505
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	7,168	129,685
სხვა მოთხოვნები	154,022	12,994
სულ ფინანსური მოთხოვნები	1,868,668	1,408,184
გადახდილი ავანსები	2,088,093	1,305,913
სულ არაფინანსური მოთხოვნები	2,088,093	1,305,913
სულ	3,956,761	2,714,097

შპს „სეუ გრუპ დეველოპმენტ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

12. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	295,644	1,085,372
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	21,216	113,364
ბლოკირებული თანხები	-	1,721,610
სულ	316,860	2,920,346

13. მიღებული სესხები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული სესხები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

მიღებული სესხები:	ვალუტა	დაფარვის თარიღი	მოკლევა- დიანი	გრძელვა- დიანი	სულ
ფინანსური ინსტიტუტებიდან	ევრო	2027	379,830	688,006	1,067,836
ფინანსური ინსტიტუტებიდან	დოლარი	2027	709,681	4,343,199	5,052,880
ფინანსური ინსტიტუტებიდან	დოლარი	2026	3,599,053	2,013,055	5,612,108
ფინანსური ინსტიტუტებიდან	დოლარი	2025	2,021,917	-	2,021,917
ფინანსური ინსტიტუტებიდან	დოლარი	2033	3,330,824	26,702,010	30,032,834
დაკავშირებული მხარისგან	ლარი	2024	4,764,594	-	4,764,594
დაკავშირებული მხარისგან	დოლარი	2023	336,816	-	336,816
სულ			15,142,715	33,746,270	48,888,985

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული სესხები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

მიღებული სესხები:	ვალუტა	დაფარვის თარიღი	მოკლევა- დიანი	გრძელვა- დიანი	სულ
ფინანსური ინსტიტუტებიდან	დოლარი	2027	3,032,490	3,965,231	6,997,721
ფინანსური ინსტიტუტებიდან	ევრო	2027	307,460	745,097	1,052,557
ფინანსური ინსტიტუტებიდან	დოლარი	2026	3,012,115	-	3,012,115
ფინანსური ინსტიტუტებიდან	დოლარი	2025	1,615,851	1,937,346	3,553,197
დაკავშირებული მხარისგან	ლარი	2024	14,240,056	-	14,240,056
დაკავშირებული მხარისგან	დოლარი	2023	9,203,943	-	9,203,943
სულ			31,411,915	6,647,674	38,059,589

მოძრაობა წლების განმავლობაში შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024	2023
საწყისი ნაშთი	38,059,589	30,263,063
სესხის აღება	42,367,998	22,081,083
სესხის გადახდა	(34,845,303)	(15,857,955)
საპროცენტო ხარჯი	3,783,860	3,234,748
პროცენტის გადახდა	(1,541,185)	(1,346,258)
საკუროსო სხვაობების ეფექტი	1,064,026	(315,092)
საბოლოო ნაშთი	48,888,985	38,059,589

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	320,157	399,791
გადასახდელი ხელფასები	195	973
სულ	320,352	400,764